

სოციალური მუშაკის როლი
„ბავშვის განვითარების ინსტიტუტში“
თამარ ასლანიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური სამუშაოს მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სოციალური სამუშაო

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შორენა სამაგლიშვილი MSW; PhD

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2015

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორთა მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ, ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ ასლანიშვილი

აბსტრაქტი

წარმოდგენილი ნაშრომის საკვლევი თემა მოიცავს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დაქვემდებარებაში მყოფ „ბავშვის განვითარების ინსტიტუტში“ სოციალური მუშაკის როლისა და ფუნქციების განსაზღვრას, აღნიშნული ორგანიზაციის თანამშრომელთა და ბენეფიციართა საჭიროებების კვლევის საფუძველზე. კვლევის პროცესში გამოყენებული იქნა როგორც უშუალოდ თერაპიის პროცესზე დაკვირვების, ისე ნახევრად სტრუქტურირებული სიღრმისეული ინტერვიუსა და ფოკუს-ჯგუფის მეთოდები. კვლევის შედეგად სოციალური მუშაკის შემდეგი სამი როლი გამოიკვეთა:

1. შემთხვევის მმართველი, რომლის მოვალეობაში შევა ბენეფიციარის შეფასება, საჭირო სერვისების განსაზღვრა, რეფერირება
2. ადვოკატი ბენეფიციართა უფლებების დასაცავად ორგანიზაციის ფარგლებში და მის გარეთ
3. ინფორმატორი - ბენეფიციართა მშობელთათვის ინფორმაციის მიმწოდებელი სხვადასხვა სერვისებსა თუ შეღავათებზე, დამაკავშირებელი რგოლი ორგანიზაციის სხვადასხვა სტრუქტურებს, ორგანიზაციასა და გარე სერვისებს, ბენეფიციარებსა და სახელმწიფო სტრუქტურებს შორის.

კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია როგორც აღნიშნული კონკრეტული ორგანიზაციის უკეთესი და ეფექტიანი მუშაობისთვის, ისე სხვა სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციებისთვის.

ძირითადი საძიებო სიტყვები: *შეზღუდული შესაძლებლობები, შემთხვევის მართვა, ძალადობა, ადვოკატობა*

Abstract

Presented survey includes defining social worker's key roles and functions in "Child development institute", which operates under the auspices of Ilia State University. The survey included analysis of organization workers' and offender parents' needs. During the survey several research methods were used- observation of therapy process, half-structured interview with organization workers and focus-groups with offender parents. The survey detected social worker's 3 basic roles:

1. Case manager, which takes part in offender's needs assessment, determining necessary services, refer
2. Advocate of offender's rights within the organization and besides its borders
3. Informant – information provider of offenders' parents about different services and privileges, connecting ring between organisation's different structures, between organization and external services, between offenders and state structures.

The survey results are important as for marked organization, as other service providers, to ensure better and effective work.

key words: *disability, case management, violence, advocacy*